ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვების შესახებ № 30

ზუგდიდი 6 ივლისი 2022 წელი

ერთის მხრივ, ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“ (შემდგომში „შემსყიდველი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორი **ნათია ფიფია-ს** სახით და მეორეს მხრივ, შპს **,,პილოტი 2014**“(შემდგომში „მიმწოდებელი“), მისი უფლებამოსილი წარმომადგენლის, დირექტორის **ნანული ჩემინავა-**ს სახით, საქართველოს კანონის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ და „გამარტივებული შესყიდვის კრიტერიუმების განსაზღვრისა და გამარტივებული შესყიდვის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2015 წლის 17 აგვისტოს №13 ბრძანების საფუძველზე, გამარტივებული შესყიდვის საშუალებით, ვდებთ სახელმწიფო შესყიდვის შესახებ ხელშეკრულებას (შემდგომში „ხელშეკრულება“) შემდეგზე:

1. ხელშეკრულების საგანი

ხელშეკრულების საგანიაა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“ -ის 2022 წლის საკუთარი სახსრებით „შემსყიდველის“ მიერ ,,მიმწოდებლისაგან“ დანართში მოცემული რაოდენობითა და ფასებით **(CPV კოდი 30200000 კომპიუტერული მოწყობილობა და აქსესუარები///30234600 ფლეშმეხსიერება)** შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]“ ქვეპუნქტის საფუძველზე გამარტივებული შესყიდვის საშუალებით.

1.1. ხელშეკრულების დანართი №1-ის შესაბამისად, რომელიც წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს.

1.2. „მიმწოდებელი“ ვალდებულებას კისრულობს მიაწოდოს შემსყიდველს ზემოთაღნიშნული მომსახურება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, ხოლო „შემსყიდველი“ ვალდებულებას კისრულობს აუნაზღაუროს „მიმწოდებელს“ გაწეული მომსახურების ღირებულება, ხელშეკრულების პირობებში ასახულ ვადებში და ფორმით.

2. ხელშეკრულების საერთო ღირებულება

2.1. გასაწევი მომსახურების ღირებულება, მომსახურების სრულყოფილად გაწევასთან დაკავშირებული ყველა ხარჯისა და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების ჩათვლით შეადგენს **:160 (ასსამოცი) ლარს.**

3. მომსახურების გაწევის პირობები

3.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება გაწეული იქნეს ხელშეკრულების გაფორმების თარიღიდან **2022 წლის 8 აგვისტოს ჩათვლით.**

3.2. მომსახურების გაწევის პარალელურად, მიმწოდებელი ვალდებულია უზრუნველყოს თანმხლები დოკუმენტაციის წარდგენა „შემსყიდველისათვის“ (საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურა ან კანონმდებლობით დაშვებული დოკუმენტი).

4. მიღება-ჩაბარების წესი

4.1. მიმწოდებლის მიერ გაწეული მომსახურება ჩაითვლება მიღებულად მხოლოდ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმების შემდეგ.

4.2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების მიღებას ახორციელებს „შემსყიდველისა“ და „მიმწოდებლის“ მიერ საამისოდ უფლებამოსილი წარმომადგენლები, რომლებიც მომსახურების მიღების შედეგების მიხედვით აფორმებენ შესაბამის მიღება-ჩაბარების აქტს.

5. ანგარიშსწორების ფორმა და წესი

5.1. ანგარიშსწორება „მიმწოდებელთან“ განხორციელდება მომსახურების გაწევის შემდეგ, უნაღდო ანგარიშსწორების წესით, „მიმწოდებლის“ საბანკო ანგარიშზე, თანხის გადარიცხვის ფორმით.
5.2. ანგარიშსწორებას „შემსყიდველი“ განახორციელებს მომსახურების დასრულების შესახებ შესაბამისი მიღება-ჩაბარების აქტის და საგადასახადო ანგარიშ-ფაქტურის (ან კანონმდებლობით დაშვებული სხვა დოკუმენტის) წარდგენიდან 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობები

6.1. „შემსყიდველი“ ვალდებულია:
6.1.1. უზრუნველყოს გაწეული მომსახურების მიღება და შესაბამისი ანაზღაურების გადახდა „მიმწოდებლისათვის“, წინამდებარე ხელშეკრულების პირობათა სრული დაცვით;

6.2. „შემსყიდველი“ უფლებამოსილია:
6.2.1. „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს მომსახურების გაწევა, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებითა და ვადაში;
6.2.2. „მიმწოდებლის“ მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობათა შეუსრულებლობის შემთხვევაში ცალმხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულება.
6.2.3. „მიმწოდებლისაგან“ მოითხოვოს გაწეული მომსახურების შესახებ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმება.

6.3. „მიმწოდებელი“ ვალდებულია:
6.3.1. ხელშეკრულებით დადგენილ ვადაში, ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით გასწიოს მაღალკვალიფიციური მომსახურება.
6.3.2. მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით, მოთხოვნის შემთხვევაში წარუდგინოს „შემსყიდველს“გაწეული მომსახურების შესახებ შესაბამისი პირველადი დოკუმენტაციის ასლები და ანგარიში, რომლის შემდეგაც ფორმდება დადგენილი ფორმის მიღება-ჩაბარების აქტი;
6.3.3. დაუყოვნებლივ აცნობოს „შემსყიდველს“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობისა ან /და ხელისშემშლელ დაბრკოლებათა შესახებ;
6.3.4. ხელშეკრულების შესრულების პერიოდში სუბკონტრაქტების დადების აუცილებლობის წარმოშობის შემთხვევაში, წერილობით აცნობოს „ შემსყიდველს“ შესაბამისი თანხმობის მისაღებად.

6.4. „მიმწოდებელი“ უფლებამოსილია:
6.4.1. „შემსყიდველისაგან“ მოითხოვოს ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრულად და დროულად შესრულება.

7. უფლების გადაცემა

7.1. მხარეებს არა აქვთ უფლება მეორე მხარესთან წერილობითი თანხმობის გარეშე მთლიანად ან ნაწილობრივ გადასცეს მესამე მხარეს ხელშეკრულებით განსაზღვრული უფლება-მოვალეობანი.

8. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვის შესაძლებლობა

8.1. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების, მათ შორის, ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილებების შედეგად იზრდება ხელშეკრულების საერთო ღირებულება ან უარესდება ხლშეკრულების პირობები„შემსყიდველისათვის“, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.
8.2. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების დადგომის შემთხვევაში,დაუშვებელია თავდაპირველად დადებული ხელშკრულების ჯამური ღირებულების 10%-ზე (ათი პროცენტი) მეტი ოდენობით გაზდა.

9. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა

9.1. ხელშეკრულების დამდებ არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება ცალმხრივად შეცვალოს ხელშკრულების პირობები.

9.2. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლისაუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი ვალდებულია წერილობით შეატყობინოს მეორე მხარესშესაბამისი ინფორმაცია. ამავე დროს „შემსყიდველი“ არ არის ვალდებული წარუდგინოს „მიმწოდებელს“

რაიმემტკიცებულებანი იმ გარემოებებთან დაკავშირებით, რომლის გამოც წარმოიშვა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა.

9.3. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

10. შეტყობინება

10.1. ნებისმიერი შეტყობინება, რომელსაც ერთი მხარე, ხელშეკრულების შესაბამისად, უგზავნის მეორე მხარეს, გაიგზავნება წერილის, ფაქსის ან ოფიციალური ელექტრონული ფოსტის სახით, ორიგინალის შემდგომი წარმოდგენით, ხელშეკრულებაში მითითებული მეორე მხარის მისამართზე.

10.2. შეტყობინება შედის ძალაში ადრესატის მიერ მისი მიღების დღეს ან შეტყობინების ძალაში შესვლის დადგენილდღეს, იმის მიხედვით, თუ ამ თარიღებიდან რომელი უფრო გვიან დგება.

11. ხელშეკრულების შესრულების შეფერხება

11.1. ხელშეკრულების შესრულების პროცესში მხარეთა წინაშე წარმოშობილი დაბრკოლების გამო ნაკისრი ვალდებულებების ვერ ან არაჯეროვნად შეუსრულებლობის საფრთხის შესახებ, მხარე ვალდებულია წერილობით აცნობოს მეორე მხარეს შეფერხების ფაქტის, მისი შესაძლო ხანგრძლივობის და გამომწვევი მიზეზების შესახებ. ხოლო შეტყობინების მიმღები მხარე კი ასევე დაუყოვნებლივ აცნობებს თავის გადაწყვეტილებას აღნიშნულ გარემოებებთან დაკავშირებით.

11.2. იმ შემთხვევაში თუკი ხელშეკრულების პირობების შეფერხების გამო მხარეები შეთანხმდებიან ხელშეკრულების მოქმედების ვადის გაგრძელებაზე, ეს გადაწყვეტილება უნდა გაფორმდეს ხელშეკრულებაში ცვლილებებისშეტანის გზით.

12. ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა

12.1. ფორს-მაჟორული პირობების გარდა, მხარეთა მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა ან/და დაგვიანებით შესრულება გამოიწვევს მათ პასუხისმგებლობას, მოქმედი კანონმდებლობითა და წინამდებარე ხელშეკრულებით გათვლისწინებულილ წესით.

12.2. ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების ვადების გადაცდენის შემთხვევაში ყოველი დაგვიანებული დღისათვის „მიმწოდებელს“ ეკისრება პირგასამტეხლო, ხელშეკრულების საერთო ღირებულების 0,2%-ის ოდენობით, რომლის გადახდა უნდა მოხდეს „შემსყიდველის“ წერილობითი მოთხოვნის მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღის განმავლობაში.

12.3. თუ „მიმწოდებელი“ წერილობითი სახით გადახდის შესახებ შეტყობინების მიღებიდან 20 (ოცი) სამუშაო დღეში არ გადაიხდის პირგასამტეხლოს, მას დამატებით დაეკისრება ჯარიმა, ყოველი ვადაგადაცილებული დღისათვის პირგასამტეხლოს 0,15%-ის ოდენობით.

12.4. იმ შემთხვევაში თუ ვადის გადაცდენისათვის დაკისრებული პირგასამტეხლოს ჯამური თანხა გადააჭარბებს ხელშეკრულების ღირებულების 20%-ს „შემსყიდველს“ უფლება აქვს შეწყვიტოს ხელშეკრულება.

12.5. „შემსყიდველს“ უფლება აქვს მოახდინოს პირგასამტეხლოს გამოქვითვა „მიმწოდებლისათვის“ ასანაზღაურებელი თანხიდან.

12.6. პირგასამტეხლოს გადახდა არ ათავისუფლებს „მიმწოდებელს“ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისაგან.

12.7. პასუხისმგებლობის სხვა ფორმები, რაც არ არის გათვალისწინებული ხელშეკრულებაში, განისაზღვრება მოქმედი კანონმდებლობით.

13. ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტა

13.1. ხელშეკრულების დამდები მხარის მიერ ნაკისრ ვალდებულებათა შეუსრულებლობის გამო მეორე მხარე, უფლებამოსილია ცალხრივად შეწყვიტოს ხელშეკრულების სრული ან ცალკეული პირობების მოქმედება.

13.2. ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ ეცნობება წერილობით ხელშეკრულების (ან მისი ნაწილის) შეწყვეტამდე 10 (ათი) სამუშაო დღით ადრე მაინც, ამასთან, უნდა მიეთითოს მიღებული გადაწყვეტილების საფუძველი და მისი ამოქმედების თარიღი.
13.3. ხელშეკრულების ცალკეული პირობების მოქმედების შეწყვეტა, არ ათავისუფლებს მხარეებს დანარჩენი ვალდებულებების შესრულებისაგან.
13.4. მხარეთა შორის გაფორმებული საბოლოო მიღება-ჩაბარების აქტი წარმოადგენს ხელშეკრულების მოქმედების შეწყვეტის საფუძველს.

14. ფორს-მაჟორი

14.1. მხარეები არ არიან პასუხისმგებელნი თავიანთი ვალდებულებების სრულ ან ნაწილობრივ შეუსრულებლობაზე, თუ ეს შეუსრულებლობა გამოწვეულია ისეთი გარემოებით, როგორიცაა წყალდიდობა, ხანძარი, მიწისძვრა და სხვა სტიქიური მოვლენები, აგრეთვე ომები დასაომარი მოქმედებები, თუ ისინი უშუალო ზემოქმედებას ახდენენ ხელშეკრულების შესრულებაზე. ხელშეკრულების შესრულების ვადა გადაიწევს შესაბამისი დროით, გარემოებათა დასრულების შემდეგ.
14.2. თუ სახელშეკრულებო ვალდებულებების მთლიანი ან ნაწილობრივი შეუსრულებლობის პირობები გაგრძელდება სამ თვეზე მეტ ხანს, მხარეებს უფლება აქვთ შეწყვიტონ ხელშეკრულების მოქმედება, კომპენსაციის უფლების მოთხოვნის გარეშე.
14.3. მხარე, რომელსაც შეექმნა ფორს-მაჟორული გარემოება დაუყოვნებლივ აცნობებს ამის შესახებ მეორე მხარეს.

15. დავების გადაწყვეტის წესი

15.1. ხელშეკრულების შესრულებისას მხარეთა შორის წამოჭრილი დავები ან აზრთა სხვადასხვაობა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნას ორივე მხარის ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.
15.2. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

16. ხელშეკრულების ინსპექტირების პირობები

16.1. „შემსყიდველს“ ან მის წარმომადგენელს უფლება აქვთ ხელშეკრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს კონტროლი „მიმწოდებლის“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულებაზე.
16.2. ხელშეკრულების კონტროლს ახორციელებს „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი სპეციალური ინსპექტირების ჯგუფი, შემდეგი შემადგენლობით:
1. გელა ჩილაჩავა - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების “ ადმინისტრაციის უფროსი,
2. -მანანა ფიფია -ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლების გაერთიანების “ ადმინისტრაციული განყოფილების მთავარი სპეციალისტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის საკითხებში.
3. მზია მითაგვარია - ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანების “ სპეციალისტი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის საკითხებში.
4. ელგუჯა ჭაავა ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ადმინისტრაციული განყოფილების შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
5. ზურაბ ქორთუა ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის ,,სახელოვნებო სკოლების გაერთიანების ადმინისტრაციული განყოფილების წამყვანი სპეციალისტი მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფისა და ლოჯისტიკის საკითხებში.

16.3. ინსპექტირება ხორციელდება წარმოქმნილი საჭიროებიდან გამომდინარე.
16.4. „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილია შემსყიდველის სახელით განახორციელოს გაწეული მომსახურის მიღება-ჩაბარება.
16.5. „შემსყიდველის“ მიერ გამოყოფილი ინსპექტირების ჯგუფი უფლებამოსილია განახორციელოს გაწეული ან/და გასაწევიმომსახურების ხარისხის კონტროლი.

17. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

17.1. ხელშეკრულება ძალაში შედის მხარეების მიერ მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს **2022 წლის 8 სექტემბრის ჩათვლით.**

17.2. შესყიდვის ობიექტის მიწოდების პუნქტად განსაზღვრულია ,,შემსყიდველის“ ოფისი, შემდეგ მისამართზე ზუგდიდი, რუთაველის ქ. # 79

18. დასკვნითი დებულებები

18.1. მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას, დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

18.2. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება, მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულებისას დარღვევების შესახებ და ა.შ. თუ წინასწარ არ მოხდება შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

18.3. წინამდებარე ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ერთ ელექტრონულ ფაილად. დოკუმენტი მხარეთა მიერ დამოწმებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერით ან/და კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.

19. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

„შემსყიდველი“	„მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი“
ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“	**შპს ,,პილოტი 2014“**
“საიდენტიფიკაციო კოდი: 420433604	საიდენტიფიკაციო კოდი: **419990843**
მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №79	მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №92
საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში	საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი
ბანკისკოდი: TRESGE22	ბანკის კოდი: **LBRTGE22**
	ანგარიშის ნომერი: **№ GE27LB0113153709521000**
დირექტორი : /ნათია ფიფია /	დირექტორი: ნანული ჩემინავა

Natia Pipia
Подписано цифровой подписью: Natia Pipia
Дата: 2022.07.06 12:02:48 +04'00'

pilot 2014
Digitally signed by pilot 2014
DN: cn=pilot 2014, 2.5.4.97=NTRGE-419990843, o=••• ••••••• 2014, c=GE
Date: 2022.07.06 12:35:54 +04'00'

<u>დ ა ნ ა რ თ ი</u>

№	ჩამონათვალი	CPV კოდი		რაოდენობა და მოცულობა	რაოდენობა	ერთეულის ფასი	სულ ჯამი
1	ფლეშმეხსიერება 16GB	30200000	30234600	ცალი	4	40	160
							160

20. მხარეთა მისამართები, საბანკო რეკვიზიტები და ხელმოწერები

<u>„შემსყიდველი“</u>	<u>„მ ი მ წ ო დ ე ბ ე ლ ი“</u>
ა(ა)იპ ზუგდიდის მუნიციპალიტეტის „სახელოვნებო სკოლების გაერთიანება“ “საიდენტიფიკაციო კოდი: **420433604** მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №79 საბანკო რეკვიზიტები: ხაზინის ერთიანი ანგარიში ბანკისკ ოდი: TRESGE22 დირექტორი: / ნათია ფიფია/ Natia Pipia Подписано цифровой подписью: Natia Pipia Дата: 2022.07.06 12:03:15 +04'00'	**შპს „პილოტი 2014“** საიდენტიფიკაციო კოდი: **419990843** მისამართი: ზუგდიდი, რუსთაველის ქ. №92 საბანკო რეკვიზიტები: სს „ლიბერთი ბანკი ბანკის კოდი: **LBRTGE22** ანგარიშის ნომერი: **№ GE27LB0113153709521000** დირექტორი: ნანული ჩემინავა pilot 2014 Digitally signed by pilot 2014 DN: cn=pilot 2014, 2.5.4.97=NTRGE-419990843, o=••• ••••••• 2014, c=GE Date: 2022.07.06 12:36:20 +04'00'